# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 44

„4“ „ნოემბერი“ 2016 წ.

ქ. თბილისი

შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი კორპორატიული და საბითუმო გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თეონა ონიკაძის სახით და სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ ტუკვაძის სახით, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს იმ ტერიტორიული ადმინისტრაციების საავტომობილო საწვავით მომარაგების მიზნით, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზე (2016 წლის ოქტომბრის თვის ლიმიტი) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების, ჭაჭუნას აღკვეთილის, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის (ბაღდათი-ლაშური) ადმინისტრაციების საჭიროებისათვის) 2016 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთა ბენზინგასამართი სადგურები შორ მანძილზეა ან საერთოდ არ არის (საწვავისა და სხვა ხარჯების არარაციონალური ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით), ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანების მე-5 მუხლის, ასევე ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციის 5.9 პუნქტის (საწვავის შესყიდვა გამარჯვებული მიმწოდებლის აგს-ის 15 კმ-ზე მეტი დაშორების შემთხვევაში), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტისა და *№150000066 და №150000069 კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 6 ოქტომბრის* №3878 და №3880 ნებართვების საფუძველზე, (გამარტივებული შესყიდვის შეთანხმება) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **„ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ ტერმინთა განმარტება** წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის, „ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ანგარიში - „შემსყიდველის“ ვირტუალური (ინტერნეტ) ანგარიში, რომელსაც „მიმწოდებელი“ ქმნის „ხელშეკრულების“ საფუძველზე და, რომელთან წვდომაც „შემსყიდველს“ აქვს ე.წ. Log in -ისა და პასვორდის მეშვეობით;

ბ) Log in -ი და პასვორდი - მონაცემთა (სიმბოლოების/ციფრების) კომბინაცია, რაც უზრუნველყოფს „შემსყიდველის“ წვდომას ანგარიშთან და, რომელთაგან ე.წ. Log in-ი „შემსყიდველს“ ენიჭება „მიმწოდებლის“ მიერ და არის უნიკალური და უცვლადი, ხოლო, პასვორდს „შემსყიდველი“ ირჩევს თავად, საკუთარი შეხედულებისამებრ;

გ) ბარათ(ებ)ი - მრავალჯერადი გამოყენების, უვადო, პლასტიკური ბარათ(ებ)ი, რომელიც დაკავშირებულია (მიბმულია) „შემსყიდველის“ ანგარიშთან, რომელზედაც „შემსყიდველი“ საკუთარი შეხედულებისამებრ ანთავსებს სასურველი სახეობისა (მარკისა) და ოდენობის საწვავს (განსაზღვრავს ლიმიტს);

დ) ტალონები -საწვავის ტალონი, რომელზეც დატანილია საწვავის რაოდენობის შესაბამისი ნომინალი და შტრიხკოდი.

ე) საწვავი - სხვადასხვა მარკის (ოქტანობის) ბენზინი ან/და დიზელი;

ვ) საწვავის ფასი - „მიმწოდებლის“ საფასო პოლიტიკის მიხედვით, საწვავის მოთხოვნილი სახეობის/მარკისა და რაოდენობის შესაბამისად დაანგარიშებული საწვავის ღირებულება ფასდაკლების გათვალისწინებით (ფასდაკლებაზე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში) დღგ-ს ჩათვლით; საწვავის ფასი მიეთითება „შემსყიდველისათვის“ წარდგენილ ინვოისსა ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში;

ზ) საწვავის ფასდაკლებული ღირებულება - საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს „მიმწოდებლის“ საცალო ქსელში დაფიქსირებული კონკრეტული სახეობის/მარკის საწვავის ერთი ლიტრის ღირებულებას გამოკლებული ფასდაკლების მოცულობა დღგ-ს ჩათვლით. ფასდაკლების მოცულობა დგინდება „მიმწოდებლის“ საფასო პოლიტიკის საფუძველზე; საწვავის ფასდაკლებული ღირებულება მიეთითება „შემსყიდველისათვის“ წარდგენილ ინვოისსა ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში;

თ) საწვავის მიწოდება ბარათ(ებ)ის მეშვეობთ - „მიმწოდებლის“ ბრენდირებულ ავტო-გასამართ სადგურზე (აგს) მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისათვის საწვავის მიწოდება მოთხოვნილი ოდენობით, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ ბარათზე განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში (ბარათზე განთავსებული საწვავის მარკისა და ოდენობის მიხედვით);

ი) საწვავის მიწოდება ტალონ(ებ)ის მეშვეობით - „გამყიდველის“ აგს-ებზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისათვის საწვავის მიწოდება მოთხოვნილი ოდენობით, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ ტალონ(ებ)ზე მითითებული საწვავის მარკისა და ოდენობის მიხედვით;

კ) ბრენდირებული აგს-ი - „მიმწოდებლის“ მართვაში არსებული აგს-ი, რომელიც განირჩევა კონკურენტებისაგან GULF-ის ლოგოთი და სხვა GULF-თან დაკავშირებული სიმბოლიკით.

2. <u>„ხელშეკრულების“ საგანი</u>

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების გათვალისწინებით, „შემსყიდველი“ „მიმწოდებლისაგან“ შეისყიდის შემდეგი მარკის/ტიპის და რაოდენობის საწვავს:

1440 (ერთიათასოთხასორმოცი) ლიტრ G-force ევრო დიზელს (CPV კოდი: 09134200 - დიზელი).

510 (ხუთასათი) ლიტრ G – Force პრემიუმს (CPV კოდი: 09132000 - ბენზინი).

2.2 საწვავის შესყიდულ რაოდენობას „მიმწოდებელი“ „შემსყიდველის“ ანგარიშზე ააქტიურებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ან/და გადასცემს ტალონების მეშვეობით.

2.3 „ხელშეკრულების“ 2.2. პუნქტით განსაზღვრული მომენტიდან „შემსყიდველი“ უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს საწვავის შესყიდული რაოდენობა, გაანაწილოს საწვავი ბარათებზე (განსაზღვროს ლიმიტები), ბარათების მეშვეობით

„მიმწოდებლის“ ბრენდირებულ აგს-ებზე ფაქტობრივად მიიღოს საწვავი, გადასცეს ბარათები **ნებისმიერ პირს** შემდგომი სარგებლობისათვის (საწვავის ფაქტობრივად მისაღებად).

2.4 „მიმწოდებელი“ საწვავის ფაქტობრივად მიწოდებას ახორციელებს ბრენდირებული აგს-ების მეშვეობით, ტალონების ან/და ბარათ(ებ)ის წარდგენის საფუძველზე (ბარათ(ებ)ის ან/და ტალონების წარმდგენ **ნებისმიერ პირზე**), მათი წარმდგენის მიერ მოთხოვნილი ოდენობით, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ მათზე განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში (საწვავის მარკისა და ოდენობის მიხედვით) და იმ შემთხვევაში, თუ ბარათ(ებ)ი ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით არ არის გაუქმებული/ბლოკირებული და წარდგენილ ბარათ(ებ)ზე დაშვებულია ტრანზაქციის შესრულება.

2.5 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დროებით შეაჩეროს კონკრეტული ბრენდირებული აგს-დან საწვავის მიწოდება აგს-ზე კონკრეტული მარკის საწვავის არქონის, საწვავის მიღების ან სხვ. პატივსადები მიზეზის არსებობისას.

2.6 ბრენდირებულ აგს-ზე საწვავის მიწოდებისას „შემსყიდველი“ (ბარათის წარმდგენი პირი) ვალდებულია განუხრელად დაიცვას აგს-ზე დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სხვა ნორმები და წესები.

2.7 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე დავით კოპალიანი, რომელიც ასევე ხელს მოაწერს მხარეთა შორის ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**3. <u>ბარათ(ებ)ის დამზადება, „შემსყიდველისათვის“ გადაცემა და გამოყენება</u>**

3.1 „მიმწოდებელი“ „შემსყიდველისათვის“ ბარათ(ებ)ს ან/და ტალონებს ამზადებს „შემსყიდველის“ მიერ მოთხოვნილი რაოდენობით, შესაბამისი განაცხადის (ელექტრონული ან/წერილობითი ფორმით) საფუძველზე. „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ მოთხოვნილი რაოდენობის ბარათ(ებ)ს ან/და ტალონებს გადასცემს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი განაცხადის მიღებიდან.

3.2 ბარათ(ებ)ის ან/და ტალონების „შემსყიდველისათვის“ გადაცემა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერის მომენტიდან „შემსყიდველზე'' გადადის მათი დაზიანების, განადგურების ან/და დაკარგვის (მათ შორის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან/და სხვა ნებისმიერი გზით ბარათ(ებ)ის „შემსყიდველის“ მფლობელობიდან გამოსვლის) რისკი. „მიმწოდებელი“ პასუხს არ აგებს ბარათ(ებ)ის დაზიანებით, განადგურებით ან/და დაკარგვით (მათ შორის ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ან/და სხვა ნებისმიერი გზით ბარათ(ებ)ის „შემსყიდველის“ მფლობელობიდან გამოსვლით) ნებისმიერი პირის წინაშე დამდგარ ყველა და ნებისმიერი სახის ზიანზე.

3.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია ბარათ(ებ)ის ან/და ტალონების მისაღებად წარმოადგინოს პირი, რომლის უფლებამოსილებაც დადასტურებული იქნება ამავე ხელშეკრულებით ან შესაბამისი მინდობილობით/რწმუნებულებით. მინდობილობაში/რწმუნებულებაში მითითებული უნდა იყოს ბარათ(ებ)ის მიღებისა და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება. არაუფლებამოსილ პირზე (პირზე, რომლის უფლებამოსილებაც არ დასტურდება „მიმწოდებლის“ ხელთ არსებული მონაცემებით) ბარათ(ებ)ი ან/და ტალონები არ გაიცემა. „შემსყიდველი“ ვალდებულია, წერილობითი ფორმით, დაუყოვნებლივ შეატყობინოს „მიმწოდებელს“ ბარათ(ებ)ის ან/და ტალონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ პასუხს არ აგებს ასეთი შეუტყობინებლობით „შემსყიდველის“ წინაშე დამდგარ ნებისმიერ შესაძლო ზიანზე.

3.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს “ მიმწოდებელს” ბარათ(ებ)ის დაზიანების, განადგურების, დაკარგვის ან/და სხვა ნებისმიერი გზით „შემსყიდველის“ ნების საწინააღმდეგოდ ბარათ(ებ)ის „შემსყიდველის“ მფლობელობიდან გასვლის შესახებ.

3.5 „ხელშეკრულების“ 3.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ დაუყოვნებლივ დაბლოკავს „შემსყიდველის“ შეტყობინებაში მითითებულ ბარათებს ისე, რომ შეუძლებელი იყოს ასეთი ბარათ(ებ)ით ბრენდირებულ აგს-ებზე საწვავის მიღება.

3.6 „მიმწოდებელი“ ვალდებულია ბარათები დაამზადოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად „ხელშეკრულების“ დანართი №1 -ით განსაზღვრული ავტომანქანების სანომრე ნიშნების მიხედვით. დანართი №1 თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს ამავე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.7 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე გააუქმოს ან/და დაბლოკოს „შემსყიდველისათვის“ გადაცემული ბარათ(ებ)ი იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ბარათ(ებ)ზე უწყვეტი 6 (ექვსი) თვის მანძილზე არ განხორციელდება რაიმე სახის ტრანზაქცია.

3.8 იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით, წერილობითი ფორმით არ აცნობებს ბარათ(ებ)ის დაზიანების, განადგურების ან/და სხვა ნებისმიერი გზით „შემსყიდველის“ ნების საწინააღმდეგოდ ბარათ(ებ)ის „შემსყიდველის“ მფლობელობიდან გასვლის შესახებ, ითვლება, რომ ბარათ(ებ)ი მოქმედია ამ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით და „მიმწოდებელი“ ასეთი ბარათ(ებ)ის ბრენდირებულ აგს-ებზე წარდგენის შემთხვევაში განახორციელებს საწვავის მიწოდებას, რაც შესაბამისად აისახება ბარათ(ებ)ზე განსაზღვრული ლიმიტის ცვლილებაში. საწვავის ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განხორციელებულ მიწოდებაზე „შემსყიდველის“ შედავება/პრეტენზია არ დაიშვება/მიიღება და შესაძლო ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება „ხელშეკრულების 3.2. პუნქტით დადგენილი წესი.

**4. <u>საწვავის მიწოდება ტალონ(ებ)ის მეშვეობით</u>**

4.1. „გამყიდველი“ „მყიდველს“ საწვავის ტალონებს გადასცემს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.2. მიღება-ჩაბარების აქტი მოიცავს საწვავის სახეობას, ტალონების ნომინალს და ინდივიდუალურ ნომერს, საწვავის საერთო რაოდენობასა და საწვავის ფასს;

4.3. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ ''მყიდველზე'' გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების და დაკარგვის რისკი, „გამყიდველი“ თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან;

4.4. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით „მხარეები“ თანხმდებიან, რომ საწვავის ტალონ(ებ)ი არის ვადიანი და მისი (ტალონის) ვადა განისაზღვრება ფაქტიურად გაცემის დღიდან 1 (ერთი) წლის ვადით. „მყიდველზე“ გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას;

4.5. ტალონ(ებ)ით საწვავის გაცემისას, დაუშვებელია ავტო-გასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონ(ებ)ის ნაწილობრივი განაღდება, ასევე, სრულად ან ნაწილობრივ კონვერტაცია თანხაში.

4.6. „გამყიდველი“ „მყიდველის“ უფლებამოსილ პირს „მყიდველის“ მიერ მოთხოვნილი საწვავის ტალონებს გადასცემს 3 (სამი) სამუშაო დღეში, სამუშაო საათებში. საწვავის ტალონების მისაღებად, „მყიდველის“ უფლებამოსილ პირს, სავალდებულო წესით, უნდა ჰქონდეს ტალონების მიღებაზე უფლების დამდგენი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველი“ უფლებამოსილია არ გასცეს საწვავის ტალონები. ამასთან, „მყიდველი“ ვალდებულია, უფლებამოსილი პირის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „ამყიდველს“ და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები.

**5. <u>ფასი და ანგარიშსწორება</u>**

5.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ერთი ლიტრი G – Force პრემიუმის საწვავის ღირებულება შეადგენს <u>1.67</u> ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ერთი ლიტრი G-force ევრო დიზელის საწვავის ღირებულება შეადგენს <u>1.60</u> ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5.2 წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული გასაყიდი საწვავის სრული ღირებულება შეადგენს **3155,7 (სამიათას ასორმოცდათხუთმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი)** ლარს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ საწვავის ფასი/საწვავის ფასდაკლებული ღირებულება შეიცავს საწვავის შენახვასთან და ბრენდირებულ აგს-ებზე მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

5.2 შემსყიდველის მიერ შესყიდვა ხორციელდება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში.

5.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს გადახედოს საფასო პოლიტიკას, რის შესახებაც „შემსყიდველს“ ატყობინებს 10 (ათი) დღით ადრე ახალი საფასო პოლიტიკის ძალაში შესვლამდე. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ახალი საფასო პოლიტიკით ურთიერთობის გაგრძელებას, რის შესახებაც მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს „მიმწოდებელს“. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება ითვლება შეწყვეტილად, თუ „მიმწოდებელი“ კვლავ არ გამოთქვამს სურვილს მოქმედი საფასო პოლიტიკით ურთიერთობის გაგრძელებაზე.

5.4 “ შემსყიდველი” ანგარიშსწორებას ახდენს ლარში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში, გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

5.5 “ შემსყიდველის” მიერ გადახდის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება ანაზღაურების სრული თანხის წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლში მითითებულ “ მიმწოდებლის” საბანკო ანგარიშზე მიღების მომენტიდან;

5.6 ვადაგადაცილებულად ჩაითვლება დავალიანება, თუ „შემსყიდველი“ არ დაფარავს „მიმწოდებლის“ მიმართ არსებულ დავალიანებას ამ „ხელშეკრულების“ პუნქტი 4.4.-ში მითითებულ ვადაში;

5.7 “შემსყიდველის” მიერ გადახდის შეთანხმებული ვად(ებ)ის გადაცილების შემთხვევაში (როდესაც „შემსყიდველი“ არ აანაზღაურებს ან არასრულად აანაზღაურებს შეძენილი საწვავის ღირებულებას), “მიმწოდებელი” უფლებამოსილია დაარიცხოს და მოსთხოვოს “ შემსყიდველს” პირგასამტეხლო ასანაზღაურებული თანხის 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მხრიდან წინამდებარე „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული გადახდის რომელიმე ვალდებულება იქნება დარღვეული/ვადაგადაცილებული ერთ თვეზე მეტი ხნის ვადით, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ამ მუხლში ზემოთ მოცემულ პირგასამტეხლოსთან ერთად, ჯარიმის სახით დააკისროს „შემსყიდველს“ იმ პერიოდში ვალუტის კურსის ან/და საწვავის საბაზრო (საერთაშორისო ან/და ადგილობრივი) ფასის ცვლილებით მიღებული ზარალის/ზიანის სრული ოდენობა. მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ამ პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას დამრღვევი მხარისათვის წინასწარი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის თარიღისა.

**6. <u>ხელშეკრულების მოქმედების ვადა</u>**

6.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს არანაკლებ 2017 წლის 31 იანვრამდე ან „მხარეთა“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

6.2 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ერთი კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“. ასეთი შეწყვეტა არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად. ამასთანავე, „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ან არაჯეროვნად ასრულებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებს. „ხელშეკრულების“ შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს შეწყვეტამდე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებისაგან.

**7. <u>ფორს მაჟორი</u>**

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას მხარე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას ჯეროვნად შეესრულებინა ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემია, პანდემია, აჯანყება, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საქართველოს კანონმდებლობაში

Gulf

მომხდარი ცვლილებები (ფორს-მაჟორული გარემოებები). მხარე რომელსაც შეეხება ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოებები ვალდებულია მეორე მხარეს გონივრულ ვადაში (მაგრამ არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა) წერილობით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ.

7.2 ფორს-მაჟორული მდგომარეობ(ებ)ის დასრულებისთანავე, მხარეები ვალდებულნი არიან სრულად აღადგინონ (გააგრძელონ) ამ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება. მხარეები თანხმდებიან, რომ თუკი ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 3 (სამი) თვეზე მეტ ხანს ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება". ამასთანავე მხარეები თანხმდებიან, რომ „შემსყიდველი" ვალდებულია " მიმწოდებელს" სრულად აუნაზღაუროს „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე „მიმწოდებლის" მიერ შეწყვეტამდე ფაქტიურად გადაცემული ტალონების სრული ღირებულება.

**8. <u>დავების გადაწყვეტა</u>**

8.1 მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა ამ „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

8.2 საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლებიც წარმოიშობა მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის, განიხილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, მათ შორის ამ „ხელშეკრულების" შესრულების, დარღვევის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

**9. <u>სხვა პირობები</u>**

9.1 ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ „შემსყიდველის" მიერ საწვავის მოთხოვნილი რაოდენობის ღირებულების „მიმწოდებლისათვის" ანაზღაურებისას/გადახდისას (ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორებით), ასევე, „შემსყიდველის" ანგარიშზე საწვავის შესყიდული რაოდენობის გააქტიურებისას, მხარეთა შორის დამატებით რაიმე მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმდება (თუ ამ „ხელშეკრულებით" სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) და „შემსყიდველის" მხრიდან ანგარიშ-ფაქტურის ელექტრონულად დადასტურება იქნება „შემსყიდველისათვის" საწვავის საკუთრებაში გადაცემის საკამრისი პირობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „შემსყიდველს" არ აქვს და არ ექნება რაიმე სახის პრეტენზია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

9.2 „ხელშეკრულებას" დანართის სახით ახლავს პლასტიკური ბარათის მოხმარების ინსტრუქცია. „ხელშეკრულებაზე" ხელის მოწერით „შემსყიდველი" ადასტურებს რომ სრულად გაეცნო აღნიშნულ ინსტრუქციას და არ გააჩნია და მომავალში არ შეიძლება, რომ გააჩნდეს რაიმე სახის პრეტენზია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

9.3 "შემსყიდველი" ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ხელშეკრულების კონფიდენციალურობა და არ გადაანდოს მასთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს (პირებს).

9.4 ამ „ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამ „ხელშეკრულების" ყველა დამატება და ცვლილება უნდა შესრულდეს ამ „ხელშეკრულების" ფორმის დაცვით;

9.5 ამ „ხელშეკრულების" რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი „ხელშეკრულების", ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

9.6 ეს „ხელშეკრულება" შედგენილია თანაბარი იუდირიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება "მიმწოდებელს", ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს".

**10. <u>მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:</u>**

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო" | შ.პ.ს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" ქ.თბილისი, |
| ქ. თბილისი,გულუასქ. №6 | ჭავჭავაძის გამზ.N34 |
| ტელ: 2752352 | ტელ - 249644 |
| ს/კ: 204911337 | ს/კ 404391136 |
| სახელმწიფო ხაზინა | ს.ს„საქართველოსბანკი" |
| სახაზინო კოდი: TRESGE22 | ბანკის კოდი:BAGAGE22 |
| ა/ა №200122900 | ა/ა GE08BG0000000876831002 |
| ვახტანგ ტუკაძე | თეონა ონიკაძე |
| სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე | კორპორატიული და საბითუმო გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი |

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 44 დანართი №1
ავტომანქანების სანომრე ნიშნების მიხედვით

| | |
|---|---|
| GA-075-PA | G-force dizeli |
| GA-046-PA | G-force dizeli |
| GA-102-PA | G-force dizeli |
| GA-020-PA | G-force dizeli |
| GA-047-PA | G-force dizeli |
| GA-026-PA | G-force dizeli |
| GA-104-PA | G-force dizeli |
| GA-022-PA | G-force dizeli |
| GA-069-PA | G-force premiumi |
| GA-031-PA | G-force premiumi |
| GA-034-PA | G-force premiumi |
| GA-028-PA | G-force premiumi |

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო”

ვახტანგ ტუკვაძე
სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“

თეონა ონიკაძე
კორპორატიული და საბითუმო გაყიდვების
დეპარტამენტის უფროსი

Gmail

Davit Kopaliani <d.kopaliani79@gmail.com>

# დაცული ტერიტორიების სააგენტო

Писем: 3

**Davit Kopaliani** <d.kopaliani79@gmail.com> 31 октября 2016 г., 13:05
Кому: Davit Tetvadze <d.tetvadze@socar.ge>, Nino Makhatadze <nino@lukoil.ge>, Teona Onikadze <teona.onikadze@gulf-ge.com>, Tender 2015 <tender2015@lukoil.ge>, aleksandre.sanadze@rompetrol.com, info@lukoil.ge, office@wissol.ge, sophio pirtskhalava <pirtskhalavasophio@gmail.com>, Tiko Papukashvili <t.papukashvili@sgp.ge>, Teona onikadze <t.onikadze@gulf-ge.com>, "Baladze, Tamar" <Tamar.Baladze@rompetrol.com>, Sopho Pirtskhalava <S.Pirtskhalava@socar.ge>, M.Gabashvili@socar.ge, Tengo Burdzenidze <t.burdzenidze@gulf-ge.com>

2016 წლის ნოემბრს თვის განმავლობაში გვესაჭიროება მიახლოებით 2500 ლიტრი დიზელისა (ევრო დიზელი) და 850 ლიტრი პრემიუმის ტიპის საწვავის შესყიდვა.

ზემოაღნიშნული შესყიდვის აუცილებლობა გამოწვეულია კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიების ბენზინგასამართი სადგურების არ არსებობით, ჩვენთვის საჭირო რაიონებში (ბორჯომი, დედოფლისწყარო, ბაღდათი, ლაგოდეხი.

შესაბამისად შესყიდვასგანვახორციელებთ კონსოლიდირებული ტენდერი ს გარეშე, როგორც პლასტიკური ბარათების ასევე ტალონების გამოყენებით (არსებული სიტუაციის შესაბამისად).

გთხოვთ ამავე ელ.ფოსტის მისამართზე გადმოგვიგზავნოთ ინვოისი მოთხოვნილი საწვავის ტიპის მიხედვით

წინასწარ გიხდით მადლობას

577 33 30 30 დათო
**დავით კოპალიანი**
ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე
დაცული ტერიტორიების სააგენტო
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
**Davit Kopaliani**
Deputy head of Economic Department
Agency of Protected Areas
Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

გ. გულუას ქ. N 6, თბილისი, საქართველო 0114
6 G. Gulua Str., Tbilisi, Georgia 0114
ტელ/Tel.: +995 32 2 72 30 74
მობ/Mob.: +995 577 33 30 30
www.apa.gov.ge

**Lana Baakashvili** <baakal@wissol.ge> 31 октября 2016 г., 13:13
Кому: "d.kopaliani79@gmail.com" <d.kopaliani79@gmail.com>
Копия: Nino Maisuradze <maisun@wissol.ge>, gakidvebi <gakidvebi@wissol.ge>

Gmail

**Davit Kopaliani <d.kopaliani79@gmail.com>**

# დაცული ტერიტორიების სააგენტოს(სოკარის პასუხი)

1 письмо

**Davit Tetvadze** <D.Tetvadze@socar.ge> 31 октября 2016 г., 15:24
Кому: Davit Kopaliani <d.kopaliani79@gmail.com>
Копия: Sopho Pirtskhalava <S.Pirtskhalava@socar.ge>, Nato Mukhigulashvili <N.Mukhigulashvili@socar.ge>

მოგესალმებით,

თვენი წერილის პასუხად გაცნობებთ საწვავის ფასებს:

ნანო პრემიუმი - 1,70 ლარი / ლტ
ნანო ევრო-დიზელი - 1,60 ლარი / ლტ

საუკეთესო სურვილებით,

Davit Tetvadze
SOCAR Georgia Petroleum LTD
Manager of tenders and special projects
24, 300 Aragveli str. 0144, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 43 97 57 (ext 2036)
Mob. Tel. : +995 577 10 52 20

მოგესლამებით,

2016 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, კომპანია ვისოლი გთავაზობთ 1 ლიტრ ეკო დიზელს 1,75 ლარად, ხოლო 1 ლიტრ ეკო პრემიუმს 1,79 ლარად.

ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნული საწვავის შესყიდვა შეგიძლიათ მოახდინოთ ბორჯომისა და ბაღდათის ავტო გასამართ სადგურებზე.

პატივისცემით,

ლანა

---

**From:** Nino Maisuradze
**Sent:** Monday, October 31, 2016 1:07 PM
**To:** gakidvebi
**Cc:** Qeti Tukvadze
**Subject:** FW: დაცული ტერიტორიების სააგენტო

fyi

**From:** Davit Kopaliani [mailto:d.kopaliani79@gmail.com]
**Sent:** Monday, October 31, 2016 1:06 PM
**To:** Davit Tetvadze; Nino Makhatadze; Teona Onikadze; Tender 2015; aleksandre.sanadze@rompetrol.com; info@lukoil.ge; office; sophio pirtskhalava; Tiko Papukashvili; Teona onikadze; Baladze, Tamar; Sopho Pirtskhalava; M.Gabashvili@socar.ge; Tengo Burdzenidze
**Subject:** დაცული ტერიტორიების სააგენტო

[Цитируемый текст скрыт]

---

**Tengo Burdzenidze** <t.burdzenidze@gulf-ge.com> 31 октября 2016 г., 13:21
Кому: Davit Kopaliani <d.kopaliani79@gmail.com>

მოგესალმებით,

გიგზავნით შეთავაზებას

--
Sincerely,

**Tengo burdzenidze**
**Corporate Sales manager**
**"Sun Petroleum Georgia" LLC**
**Official Distributor of Gulf Oil International in Georgia**

*Cell: (995 77) 37. 91. 45*
**Office Phone: (995 32) 249 64 44 (320)**
**Office Fax: (995 32) 249 64 40**
**E-mail:** T.burdzenidze@gulf-ge.com
**Web-site:** www.gulf-ge.com

your local global brand

---

კომერციული სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო **31.10.2016.doc**
87K

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“
ს/კოდი: 404391136
მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. #34,
თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: sales@gulf-ge.com
ტელეფონი: 249 64 44 (287)
მობილური: 577 37.91.45

Sun Petroleum Georgia LLC
Tax ID: 404391136
Address: 34 Chavchavadze ave.
Tbilisi, Georgia
Email: sales@gulf-ge.com
Tel: 249 64 44 (287)
Cell: 577 37.91.45

ვის / To whom: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

**თარიღი / Date: 31.10.2016**

# შეთავაზება
# Offer

| საწვავის დასახელება<br>Product Name | საცალო ფასი | ფასდაკლება | საბოლოო ფასი |
|---|---|---|---|
| G-FORCE ევრო დიზელი | | | 1,60 |
| G-FORCE პრემიუმი | | | 1,67 |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

ნავთობკომპანია „გალფ ჯორჯია“ გამოხატავს პატივისცემას თქვენი ორგანიზაციის მიმართ და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი შეთავაზება მისაღები იქნება თქვენთვის და მომავალში წარმატებით ვითანამშრომლებთ.

საუკეთესო სურვილებით / Best Wishes,

კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტი / Corporate Sales Department

# ნებართვა # 3880

## ნებართვა # 3880

| | |
|---|---|
| ნებართბის დასახელება | საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან |
| მოკლე აღწერა | საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან, სატენდერო დოკუმენტაციის 5.9 პუნქტის შესაბამისად, გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის 15 კმ-იანი დაშორების შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო |
| სტატუსი | **თანხმობა** |
| დამატებულია | 17:28 02/11/2016 |
| სტატუსი მინიჭებულია | 10:53 03/11/2016 |
| ტენდერის ნომერი | CON150000069 |
| შესყიდვის ობიექტი | ევროდიზელი (გატანა ავტოგასამართი სადგურიდან) |
| კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი | შპს "რომპეტროლ საქართველო" |
| კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი | 1,48 |
| მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის (ერთეული კილომეტრებში) | 30-50 კმ |
| არაგამარჯვებული მიმწოდებლის დასახელება, რომელმაც შემოგთავაზათ ყველაზე დაბალი ფასი და რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა | შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია |
| არაგამარჯვებული მიმწოდებლის შემოთავაზებული ფასი (წინადადება), რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა | 1,6 |

| | |
|---|---|
| მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის, რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა (ერთეული კილომეტრებში) | 1 კმ |
| მიმდინარე თვის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ეკონომია (ლარებში), საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში | თითოეულ ავტომანქანისათვის ბენზინგასამართ სადგურამდე გადაადგილებისას მიღებული ეკონომია საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში მერყეობს მიახლოებით 10 დან 15 ლარამდე |
| ბაზრის კვლევის შედეგები. გთხოვთ, მიუთითოთ სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებლების დასახელება (არსებობის შემთხვევაში) და მათ მიერ შემოთავაზებული ფასები (ჩამონათვალი გამოყავით მძიმეებით) | სოკარი - 1,6; ვისოლო 1,75 |
| თვე, რომლის საჭიროებასაც წარმოადგენს არაგამარჯვებულთან საწვავის შესყიდვა (გთხოვთ თვეების ჩამონათვალი გამოყოთ მძიმეებით) | ნოემბერი |
| საწვავის რაოდენობა (ლიტრებში), რომლის შესყიდვა/ჩასხმა გსურთ არაგამარჯვებულ მიმწოდებელთან | 2500 ლიტრი |
| თქვენი კომენტარი | საწვავის შესყიდვას ვახორციელებთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების, ჭაჭუნას ეროვნული პარკის, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისა და ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაზე დამაგრებული 8 ერთეული ავტომანქანის საჭიროებისათვის, სამოქმედო ტერიტორია არის დედოფლისწყარო, ლაგოდეხი და ბორჯომი, სადაც ბაზარზე მოქმედი ძირითადი ბენზინგასამართი სადგურებიდან (გალფი, სოკარი, რომპეტროლი, ლუკოილი, ვისოლი) მოძიებულ იქნა მხოლოდ გალფის, სოკარის, ვისოლისა და ლუკოილის ბენზინგასამართი სადგურები, თუმცა შემოთავაზება მოგვცა მხოლოდ სოკარმა, ვისოლმა და გალფმა (დაფიქსირებულია ელ.ფოსტაზე) |

# ნებართვა # 3878

## ნებართვა # 3878

| | |
|---|---|
| ნებართბის დასახელება | საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან |
| მოკლე აღწერა | საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან, სატენდერო დოკუმენტაციის 5.9 პუნქტის შესაბამისად, გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის 15 კმ-იანი დაშორების შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო |
| სტატუსი | **თანხმობა** |
| დამატებულია | 17:21 02/11/2016 |
| სტატუსი მინიჭებულია | 10:53 03/11/2016 |
| ტენდერის ნომერი | CON150000066 |
| შესყიდვის ობიექტი | პრემიუმი |
| კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი | შპს "რომპეტროლ საქართველო" |
| კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი | 1,53 |
| მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის (ერთეული კილომეტრებში) | საშუალო მანძილი 50 კმ |
| არაგამარჯვებული მიმწოდებლის დასახელება, რომელმაც შემოგთავაზათ ყველაზე დაბალი ფასი და რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა | შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია |
| არაგამარჯვებული მიმწოდებლის შემოთავაზებული ფასი (წინადადება), რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა | 1,60 |

| | |
|---|---|
| მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის, რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა (ერთეული კილომეტრებში) | 1 კმ |
| მიმდინარე თვის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ეკონომია (ლარებში), საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში | თითოეულ ავტომანქანისათვის ბენზინგასამართ სადგურამდე გადაადგილებისას მიღებული ეკონომია საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში მერყეობს მიახლოებით 10 დან 15ლარამდე |
| ბაზრის კვლევის შედეგები. გთხოვთ, მიუთითოთ სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებლების დასახელება (არსებობის შემთხვევაში) და მათ მიერ შემოთავაზებული ფასები (ჩამონათვალი გამოყავით მძიმეებით) | სოკარი - 1,70; ვისოლი1,79 |
| თვე, რომლის საჭიროებასაც წარმოადგენს არაგამარჯვებულთან საწვავის შესყიდვა (გთხოვთ თვეების ჩამონათვალი გამოყოთ მძიმეებით) | ნოემბერი |
| საწვავის რაოდენობა (ლიტრებში), რომლის შესყიდვა/ჩასხმა გსურთ არაგამარჯვებულ მიმწოდებელთან | 850 ლიტრი |
| თქვენი კომენტარი | საწვავის შესყიდვას ვახორციელებთ ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაზე, ჭაჭუნას ეროვნული პარკისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაზე დამაგრებული 4 ერთეული ავტომანქანის საჭიროებისათვის, სამოქმედო ტერიტორია არის ბაღდათი სოფ.ლაშური, დედოფლისწყარო და ლაგოდეხი. საწვავის ბაზარზე მოქმედი ძირითადი ბენზინგასამართი სადგურებიდან (გალფი, სოკარი, რომპეტროლი, ლუკოილი, ვისოლი) ფასები შემოგვთავაზა მხოლოდ გალფმა, სოკარმა და ვისოლმა (დაფიქსირებულია ელ.ფოსტაზე) |

| | | | |
|---|---|---|---|
| ბორჯომი | | | |
| GA-075-PA | დიზელი | 200 | ბარათზე |
| GA-069-PA | ბენზინი | 80 | ბარათზე |
| | | | |
| ლაგოდეხი | | | |
| GA-102-PA | დიზელი | 0 | ბარათზე |
| GA-031-PA | ბენზინი | 70 | ბარათზე |
| GA-046-PA | დიზელი | 120 | ბარათზე |
| GA-034-PA | ბენზინი | 120 | ბარათზე |
| | | | |
| ჭაჭუნა | | | |
| GA-022-PA | დიზელი | 220 | ტალონით |
| GA-028-PA | ბენზინი | 240 | ტალონით |
| | | | |
| ვაშლოვანი | | | |
| GA-020-PA | დიზელი | 250 | ტალონით |
| GA-047-PA | დიზელი | 300 | ტალონით |
| GA-104-PA | დიზელი | 350 | ტალონით |
| GA-026-PA | დიზელი | 0 | ტალონით |
| | | | |
| სულ: | დიზელი | 1440 | × 1,60 = 2304 |
| | ბენზინი | 510 | × 1,67 = 851,7 |
| მ.შ ტალონით | დიზელი | 1120 | |
| | ბენზინი | 240 | |
| ბარათზე | დიზელი | 320 | 3155,7 |
| | ბენზინი | 270 | |